ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ 2020 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში

თვითმმართველი ერთეულის დასახელება:ოზურგეთის მუნიციპალიტეტი

საკრებულოს წევრის სახელი გვარი:თამაზ ტუღუში

თანამდებობის დასახელება:

კომისიების დასახელება: სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია; აგრარულ საკითხთა,ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია.

ფრაქციის დასახელება: „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"

არჩევის წესი: სოფელ ნატანების მაჟორიტარი

საანგარიშო პერიოდი - 2019 წლის 1 ნოემბრიდან - დან 2020 წლის 1 ნოემბრამდე.

ანგარიშის ტიპი: რიგითი

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

1.სულ საკრებულოს სხდომების რაოდენობა - 20

ა) საკრებულოს სხდომებზე დასწრება- 15

2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა - 17 მ/შ დროებითი სამუშაო ჯგუფი _____

ა) კომისიის სხდომებზე დასწრება - 17 მ/შ დროებითი სამუშაო ჯგუფი_____

3. სულ ფრაქციის სხდომების რაოდენობა -12

ა) ფრაქციის სხდომებზე დასწრება - 12

4. საკრებულოს წევრის მიერ ინიციირებული საკითხები:

შეკვეთილში ქუჩის სახელდების შესახებ.

კაპროვანის ტერიტორიაზე ქუჩის სახელდების შესახებ.

ინიცირებული საკითხებიდან მიღებულ იქნა--1 განკარგულება

5. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანო საკითხები:

ბიუჯეტის განხილვა - დამტკიცება;
სოციალური დახმარების მიღებისა და გაცემის წესი;
რეგიონში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე.

6. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა:

რიგ საკითხებთან დაკავშირებით ჩემს განსხვავებულ აზრს ვაფიქსირებდი კომისიებისა და ფრაქციების მუშაობის პროცესში.

7. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა --24 და შეხვედრებზე მონაწილე

მოქალაქეთა რაოდენობა --200

8. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები:

1.შიდა სასოფლო გზებისა და სანიაღვრე არხების შეკეთება;

2.სასმელი წყლის ქსელის მოწყობა;

3.სოფლის ცენტრში არსებული სპორტდარბაზის რეაბილიტაცია და სპორტული სექციების მოწყობა;

4.ქუჩის განათების მოწყობა;

5.ზემო ნატანებში საკაბელო ინტერნეტის მოწყობა;

6.მუსიკალური სკოლის რეაბილიტაცია;

7.რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა,რომლებიც ცხოვრობენ რკინიგზის ბალანსზე რიცხულ საცხოვრებელ სახლებში,ითხოვს დახმარებას აღნიშნული ბინების გამოსყიდვაზე;

8.მოსახლეობა ითხოვს სოფელში არსებულ სასაფლაოზე დამცავი ღობის შემოვლებას და მისასვლელი გზის რეაბილიტაციას.

9. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)

აღნიშნულ საკითხებზე მივმართე მერიის შესაბამის სამსახურებს და დადებითად გადაწყდა რამდენიმე საკითხი:

1.სოფლის სხვადასხვა უბანზე შემოზიდულ იქნა და შესაბამისი ტექნიკით მოსწორდა 700 $მ^3$ ინერტული მასალა;

2. №13 და №17 უბნებზე მოეწყო სასმელი წყლის ქსელი დაახლოებით 100 ოჯახზე;

3. №17 უბანზე მოეწყო გარე განათება;

4.დასასრულს უახლოვდება სოფელ დონაურის გზის რეაბილიტაცია,იგება რკინა-ბეტონის საფარი;

5. №12 უბანში გაიბურღა სასმელი წყლის ჭაბურღილი;

6.სამხარაულის საექსპერტო ბიუროს მიერ შემოწმდა და დევს ექსპერტის დასკვნა სპორტდარბაზის შემდგომი ვარგისიანობის შწესახებ;

7.დასრულდა ზემო ნატანების სასმელი წყლის მოწყობის ტენდერი და უახლოეს მომავალში დაიწყება სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა;

8.მოეწყო რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორია და იქ არსებულ კვარცხლბეკზე აღიმართა ჯვარი.

10. **საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა**
პანდემიის დროს ჩართული ვიყავი სხვადასხვა სოციალურ აქტივობებში.

და ბოლოს, მინდა,დიდი მადლობა გადავუხადო ბატონ ირაკლი ხახუბიას სოფლის წინაშე გაწეული საქმიანობისათვის,აგრეთვე საკრებულოს უმრავლესობას გვერდში დგომისა და დახმარებისათვის.

შევსების თარიღი 10.02.2021

წარდგენის თარიღი 10.02.2021

ხელმოწერა